საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/1045
02.07.2026

ბრძანება

1045-01-4-202607021659

გადაწყვეტილება

სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ (ს/ნ 405206566) 2026 წლის 13 მაისის N01/4212 საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1. საჩივრის მოკლე შინაარსი

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) 2026 წლის 13 მაისს წარმოდგენილ იქნა სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ (ს/ნ 405206566) (შემდგომში - მომჩივანი/”საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“) საჩივარი (რეგ. N01/4212) შპს „არქიმედეს კლინიკის“ (შემდგომი - მოპასუხე/“არქიმედეს კლინიკა“) (ს/ნ 404869567) მხრიდან „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით.

საჩივრის თანახმად, მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა 2017 წლის 1 ნოემბრიდან არსებობდა და 2026 წლის 1 თებერვლამდე თანამშრომლობა ხორციელდებოდა შეთანხმებული პირობების შესაბამისად. მომჩივანის განმარტებით, 2025 წლის ბოლოს მოპასუხემ ცალმხრივად მოითხოვა სახელშეკრულებო პირობების შეცვლა და წარუდგინა განახლებული ხელშეკრულების პროექტი, რომელიც, სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურების გარდა, ითვალისწინებდა ე.წ. „პროვაიდერული მომსახურების“ ღირებულების გადახდას.

მომჩივანის მითითებით, აღნიშნული დამატებითი საფასური დაწესდა მოპასუხის დაქვემდებარებაში არსებული სამი სამედიცინო დაწესებულებისთვის - ლაგოდეხის, სიღნაღი/წნორის და სენაკის კლინიკებისთვის - თითოეულზე თვეში ლარის ოდენობით (ჯამში ლარი). მომჩივანი მიიჩნევს, რომ აღნიშნული გადასახადი არ არის დაკავშირებული ხელშეკრულების საგანთან და არ გააჩნია ეკონომიკური ან კომერციული გამართლება, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც 2025 წლის განმავლობაში მოპასუხის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება, მისი განცხადებით, არსებითად ნაკლები იყო მოთხოვნილი დამატებითი გადასახადის წლიურ ოდენობაზე.

საჩივრის მიხედვით, მას შემდეგ, რაც მომჩივანმა უარი განაცხადა აღნიშნული საფასურის გადახდაზე, მოპასუხემ 2025 წლის 30 დეკემბრის წერილით აცნობა მას 2026 წლის 1 თებერვლიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

მომჩივანის აპელირებით, ლაგოდეხის, წნორისა და სენაკის მუნიციპალიტეტებში მოპასუხე წარმოადგენს შესაბამისი სამედიცინო მომსახურების ერთადერთ მიმწოდებელს და, შესაბამისად, აღნიშნულ ტერიტორიებზე უკავია დომინანტური მდგომარეობა. მისი შეფასებით, მოპასუხემ დომინანტური მდგომარეობა ბოროტად გამოიყენა, რაც გამოიხატა, ერთი მხრივ, დამატებითი გადასახადის დაწესებაში, მეორე მხრივ კი სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტაში.

მომჩივანი ასევე მიუთითებს, რომ აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთან ხელშეკრულების არსებობა მნიშვნელოვანია მისი, როგორც სადაზღვევო მომსახურების მიმწოდებლის, ვალდებულებების შესასრულებლად, მათ შორის სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში. შესაბამისად, მისი პოზიციით, მოპასუხის ქმედებებმა არა მხოლოდ შეზღუდა დაზღვეულებისთვის შესაბამის რეგიონებში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა, ასევე უარყოფითი გავლენა იქონია მომჩივნის საქმიანობაზე.

1.2. მოპასუხის პოზიცია

კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩივარი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად გასაცნობად და პოზიციის წარმოსადგენად გადაეგზავნა მოპასუხეს.[1] მოპასუხის მიერ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა წერილობითი პოზიცია.[2]

მოპასუხის განმარტებით, საჩივარი დაუსაბუთებელია და ეფუძნება ფაქტობრივი გარემოებების არასწორ ინტერპრეტაციას. მისი მითითებით, მხარეთა შორის 2017 წლის 1 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა როგორც სამედიცინო მომსახურების გაწევის, ისე ანგარიშგებისა და ანგარიშსწორების პირობებს, მათ შორის მომსახურების ტარიფებს. ამასთან, ხელშეკრულება შეიცავდა დათქმას, რომლის მიხედვითაც თითოეულ მხარეს შეეძლო მისი ცალმხრივად შეწყვეტა ერთი თვით ადრე წერილობითი გაფრთხილების საფუძველზე. შესაბამისად, მოპასუხის პოზიციით, ხელშეკრულების შეწყვეტა მხარისათვის ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების ფარგლებში განხორციელდა.

მოპასუხე არ ეთანხმება მომჩივნის მტკიცებას, თითქოს განახლებული ხელშეკრულებით შემოღებული იქნა ხელშეკრულების საგანთან დაუკავშირებელი დამატებითი გადასახადი. მისი განმარტებით, განახლებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ე.წ. „პროვაიდერული მომსახურება“ წარმოადგენდა კონკრეტული შინაარსის მომსახურებას და არ გულისხმობდა უსაფუძვლო ფინანსური ტვირთის დაკისრებას. კერძოდ, პროვაიდერული მომსახურება მოიცავდა მოპასუხის სამედიცინო დაწესებულებებში

[1] სააგენტოს 2026 წლის 14 მაისის 02/3291 წერილი

[2] სააგენტოში შემოსული წერილი (რეგ. N01/4921; თარიღი: 01.06.2026)

მომჩივნის დაზღვეულთა მომსახურებისთვის თითოეულ ლოკაციაზე გამოყოფილი ოჯახის ექიმის, რეგისტრატორისა და დაზღვევის კონსულტანტის მომსახურებას, რაც მიზნად ისახავდა დაზღვეულებისთვის სამედიცინო სერვისის ოპერატიულ და ხარისხიან მიწოდებას. მოპასუხის განმარტებით, თითოეულ ლოკაციაზე ლარის ოდენობის საფასური სწორედ აღნიშნული მომსახურების უზრუნველყოფას უკავშირდებოდა. „არქიმედეს კლინიკის“ მითითებით, ხელშეკრულების განახლებულ პირობებთან დაკავშირებით მხარეებს შორის გაიმართა არაერთი შეხვედრა და მოლაპარაკება, რომლის ფარგლებშიც მომჩივანს დეტალურად განემარტა პროვაიდერული მომსახურების შინაარსი და მიზანი. ამასთან, მისივე განმარტებით, მომჩივანს მიეცა შესაძლებლობა, შეთავაზებულ პირობებთან დაკავშირებით საკუთარი შენიშვნები და წინადადებები წარმოედგინა და ხელშეკრულების პირობების მისაღებ ფორმაზე შეთანხმებულიყვნენ, თუმცა აღნიშნულ გარემოებაზე მომჩივანი საჩივარში არ მიუთითებს.

„არქიმედეს კლინიკის“ განმარტებით, პროვაიდერული მომსახურების კომპონენტის დამატება განპირობებული იყო როგორც ორგანიზაციული, ისე ფინანსური საჭიროებებით. მისი განმარტებით, 2026 წლიდან ლაგოდეხისა და სენაკის ამბულატორიული ცენტრები ჩაერთნენ პირველადი ჯანდაცვის განახლებულ სახელმწიფო პროგრამაში, ხოლო სიღნაღში მიმდინარეობდა შესაბამის პროგრამაში ჩართვის პროცესი. ამასთან, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაწესებული მოთხოვნების გათვალისწინებით, საჭირო გახდა კერძო დაზღვევით მოსარგებლე ბენეფიციარების მომსახურების ორგანიზების გადახედვა, მათთვის ცალკე ოჯახის ექიმებისა და ადმინისტრაციული პერსონალის გამოყოფა და შესაბამისი ადმინისტრაციული მხარდაჭერის შექმნა. მოპასუხის პოზიციით, აღნიშნული ცვლილებები დაკავშირებული იყო დამატებით ფინანსურ და საორგანიზაციო ხარჯებთან.

მოპასუხის განმარტებით, 2026 წლამდე სადაზღვევო კომპანიები სხვადასხვა ლოკაციაზე ინდივიდუალურად აფორმებდნენ ხელშეკრულებებს კონკრეტულ ექიმებთან, რომლებიც პრაქტიკულად მათ „ოჯახის ექიმებად“ ფუნქციონირებდნენ და ანაზღაურებას უშუალოდ სადაზღვევო კომპანიებისგან იღებდნენ. მოპასუხის შეფასებით, ამ მოდელმა შექმნა როგორც საოპერაციო, ისე რესურსების განაწილებასთან დაკავშირებული პრობლემები, რის გამოც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ კერძო დაზღვევით მოსარგებლე პირთა მომსახურება ერთიანი პროვაიდერული მოდელის ფარგლებში განხორციელებულიყო თავად კლინიკის მიერ. ამ მოდელის მიხედვით, სადაზღვევო კომპანიის მიერ გადასახდელი თანხა ექიმების ნაცვლად ჩაირიცხებოდა კლინიკის ანგარიშზე, ხოლო კლინიკა თავის თავზე აიღებდა შესაბამისი სამედიცინო და ადმინისტრაციული სერვისის სრულ უზრუნველყოფას.

მოპასუხის განმარტებით, განახლებული პირობებით პროვაიდერული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენდა თვეში ლარს და მოიცავდა სადაზღვევო კომპანიის დაზღვეულთა მომსახურებას სამ მუნიციპალიტეტში, შვიდ სხვადასხვა მისამართზე. მისი მითითებით, მსგავსი პირობებით ხელშეკრულებები გაფორმდა სხვა სადაზღვევო კომპანიებთანაც და თანამშრომლობა მათთან შეუფერხებლად გაგრძელდა.

მოპასუხე ასევე უარყოფს, რომ ხელშეკრულების შეწყვეტა უკავშირდებოდა მომჩივნის მიერ დამატებითი საფასურის გადაუხდელობას. მისი განმარტებით, ხელშეკრულება შეწყდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, ხოლო ახალი ხელშეკრულების გაუფორმებლობა განპირობებული იყო იმით, რომ მხარეებმა ვერ მიაღწიეს შეთანხმებას განახლებულ პირობებზე.

მოპასუხის პოზიციით, მის მიერ შეთავაზებული პირობები არ წარმოადგენდა არც არათანაბარ, არც გარიგების შინაარსთან შეუსაბამო და უსამართლო პირობებს, ხოლო მისი ქმედებები არ შეიცავს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით აკრძალული ქმედების ნიშნებს. ამასთან, მოპასუხე აღნიშნავს, რომ არსებული ვითარება დაზღვეულთა სამედიცინო მომსახურებაზე უარყოფითად არ ასახულა და ისინი კვლავ იღებენ შესაბამის სამედიცინო სერვისებს.

1.3. მომჩივნის დამატებითი პოზიცია

მოპასუხის პოზიციასთან დაკავშირებით სააგენტოში წარმოდგენილ დამატებით კორესპონდენციაში[3], „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფი“ კვლავ აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ „არქიმედეს კლინიკის” მხრიდან პროვაიდერული მომსახურებისთვის ლარიანი დამატებითი საფასურის დადგენა სრულიად დაუსაბუთებელი და არაგონივრულია. მისი პოზიციით, აღნიშნულ გადასახადს არ გააჩნია სხვა მიზანი, გარდა კლინიკის მხრიდან დამატებითი მოგების მიღებისა.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.

კანონის პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია.

აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი განმარტავს „დომინანტურ მდგომარეობას“. დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას

[3] რეგ. N01/5396; თარიღი: 12.06.2026

აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიმწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ისინი არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას განსახილველი ჯგუფის შიგნით და მის მიღმა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისგან, ნედლეულის წყაროს და გასაღების ბაზრის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამასთანავე:

ი.ა) არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

ი.ბ) არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.

კანონის მე-6 მუხლის თანახმად, კი, აკრძალულია დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ხოლო ასეთად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის, ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლების ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციაზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან და სხვა.

2.2. პროცედურული ნაწილი

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს საქმის მოკვლევა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

„საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით. მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს აღნიშნულ ვადაში გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: 1) საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ ან 2) საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

პროცედურის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნული მატერიალური დასაშვებობის შემოწმებისათვის განსაზღვრულ ვადაში სააგენტო შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. სააგენტო ასევე აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. ამდენად, საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია სააგენტოს გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ. რაც შეეხება საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლებს, ისინი გაწერილია კანონის 24-ე მუხლსა და პროცედურის მე-13 მუხლში.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 33² მუხლით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1. ზოგადი მიმოხილვა

პირველ რიგში, ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა სამართალდარღვევის დადგენა.[4] ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტო უფლებამოსილია, დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

კანონის სავარაუდო დარღვევის შესახებ საჩივრის მიღების შემდგომ სააგენტო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ამოწმებს საჩივრის ფორმალურ და მატერიალურ

[4] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 7 მაისის №04/113 გადაწყვეტილება („გორის ტაქსების საქმე II“), გვ. 10

შესაბამისობას კონკურენციის კანონმდებლობასთან. ფორმალური შესაბამისობის დადგენა გულისხმობს იმის შემოწმებას, რამდენად სრულყოფილად არის შევსებული/წარმოდგენილი საჩივარი, ხოლო მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო იკვლევს, არსებობს თუ არა საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშობა თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. სააგენტო გადაწყვეტილებას საჩივრის დასაშვებად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყების ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევაზე უარის თქმის შესახებ იღებს ზემოთ აღნიშნული ფორმალური და მატერიალური დასაშვებობის სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით საჩივრის ყოველმხრივი, კომპლექსური ანალიზის შედეგად.

მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო მოკვლევის დაწყების საფუძვლის შემოწმების მიზნით უფლებამოსილია მომჩივნისგან/მოპასუხისგან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტი. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საბოლოოდ, ფასდება მომჩივნის/მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საპირწონე არგუმენტები და მტკიცებულებები, ისევე როგორც საჯარო წყაროებიდან მოპოვებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ნებისმიერი ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, ასევე, შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია მესამე პირებისგან. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად თავმოყრილი ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე კი სააგენტო ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს და აღნიშნულის შესაბამისად მიიღება გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის შესახებ.

საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა არ შეიცავს გონივრული ეჭვის ცნების ლეგალურ დეფინიციას. დასაშვებობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში გონივრული ეჭვის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს ევროკომისიისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული საუკეთესო პრაქტიკით. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში - „TFEU“) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ევროკომისიის ნოტა განმარტავს, რომ კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ სტადიაზე კომისია ამოწმებს, თუ რამდენად არის მიზანშეწონილი საქმეზე შემდგომი მოკვლევის განხორციელება.[5] ასევე, პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთ საქმე წყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ამ საქმეებზე შემდგომი მოკვლევისა თუ შესწავლის განხორციელება არ არის გონივრული.[6] მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კომისია აღჭურვილია უფლებამოსილებით, ევროპული კავშირის სამართლით მისთვის დაკისრებული

[5] Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU (იხ. https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=oj:JOC_2011_308_R_0006_01)

[6] იქვე §12

ვალდებულებების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად განსაზღვროს მის წინაშე არსებული საჩივრებიდან, რომელ შემთხვევაშია მიზანშეწონილი და გონივრული საქმეზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება.[7]

3.2. შეფასება კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით

ვინაიდან საჩივარი წარმოდგენილია კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, სააგენტო, საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე, მსჯელობს სწორედ ამ მუხლის ამ კონკრეტული შემადგენლობის დარღვევის გონივრულ ეჭვზე.

კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება); ხოლო ამავე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილია, რომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად აგრეთვე შეიძლება დაკვალიფიცირდეს გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა.

აღსანიშნავია, რომ დასაშვებობის ეტაპზე აუცილებელია არსებობდეს იმის გონივრული ეჭვი, რომ საჩივარში მითითებული ქმედება ექცევა კანონის მე-6 მუხლის დისპოზიციაში. დასახელებული ნორმის დარღვევის გონივრული ეჭვი კი სახეზეა მაშინ, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ ქმედება ხორციელდება დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ და ეს ქმედება წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე არსებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ვინაიდან ხსენებული ნორმის დამრღვევი ვერ იქნება პირი, რომელიც არ ფლობს დომინანტურ მდგომარეობას. აღნიშნულის ფონზე, გონივრული ეჭვი უნდა არსებობდეს ერთი მხრივ, დომინანტური მდგომარეობის ქონასა და მეორე მხრივ, ისეთი ქმედების განხორციელებასთან მიმართებაში, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. ერთ-ერთი წინაპირობის არარსებობის შემთხვევაში კი ბუნებრივია სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, დაიწყოს საქმის მოკვლევა. ამდენად, იმისათვის, რომ დადგეს ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, საჭიროა მინიმუმ ორი ძირითადი პირობის კუმულატიურად არსებობა: ა) ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობის არსებობა შესაბამის ბაზარზე და ბ) აღნიშნული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

[7] ECJ Case T-24/90, 18.09.1992, §77

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ასეთ დროს სააგენტოსათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს სადავო ქმედების შინაარსისა და დავის საგნის იდენტიფიცირება.[8]

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ ეტაპზე, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია ყურადღება გაამახვილოს მხარეთა შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებათა ჯაჭვზე, რადგან საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები ნათლად მიუთითებს იმას, რომ მომჩივანი და მოპასუხე იმყოფებიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში და შესაბამისად, მომჩივანის მიერ საჩივარში დასახელებული პრეტენზიები გამომდინარეობს სწორედ სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილით, კანონმდებელმა კერძო სამართლის სუბიექტები აღჭურვა უფლებამოსილებით, კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი.

საქმეში წარმოდგენილი გარემოებებითა და ინფორმაციით დგინდება, რომ მომჩივანსა და მოპასუხეს შორის 2017 წლის 1 ნოემბერს დაიდო ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირველი პუნქტი („ხელშეკრულების საგანი“) ითვალისწინებდა, რომ „სამედიცინო დაწესებულება“ ვალდებული იყო, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, „მზღვეველის“ მიმართვის საფუძველზე, დაზღვეული პირებისთვის გაეწია სამედიცინო მომსახურება, ხოლო „მზღვეველი“ ვალდებული იყო, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, დროულად და სრულად აენაზღაურებინა „სამედიცინო დაწესებულებისთვის“ გაწეული სამედიცინო მომსახურების ღირებულება. ამავე ხელშეკრულების 5.1. პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2018 წლის 31 დეკემბერი. ამასთან, ხელშეკრულების 5.2. პუნქტი ითვალისწინებდა ხელშეკრულების ავტომატურად გაგრძელების დათქმას იმავე პირობებით, თუ მოქმედების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს ერთი თვით ადრე რომელიმე მხარე წერილობით არ აცნობებდა მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ. სააგენტო ასევე ყურადღებას ამახვილებს ხელშეკრულების 5.5. პუნქტზე, რომლის თანახმად, თითოეულ მხარეს უფლება ჰქონდა, მეორე მხარისთვის არანაკლებ ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეეწყვიტა ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში, „მზღვეველი“ ვალდებული იყო აენაზღაურებინა ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული სამედიცინო მომსახურების ღირებულება.

[8] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 09 აგვისტოს №04/121 გადაწყვეტილება („სადაზღვევო კომპანია უნისონის საქმე“) გვ. 12

შესაბამისად, უდავოა, რომ მხარეებს შორის არსებობს სახელშეკრულებო საფუძველზე წარმოშობილი კერძოსამართლებრივი ვალდებულებითი ურთიერთობა, რაც განსაზღვრავს მათ ორმხრივ უფლებებსა და მოვალეობებს.

აღნიშნულ კონტექსტში, სააგენტო განმარტავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა თავისთავად არ წარმოადგენს სააგენტოს შეფასების საგანს. მხარეთა შორის არსებული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შეფასება სააგენტოს მიერ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების სადავო პირობები ან ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები წარმოშობს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაძლო დარღვევის შესახებ გონივრულ ეჭვს.

განსახილველ შემთხვევაში, მომჩივნის მიერ სადავოდ გამხდარი გარემოება, კერძოდ, ხელშეკრულების განახლებული პირობებით „პროვაიდერული მომსახურების“ კომპონენტის შემოღება, გარდა იმისა, რომ წარმოადგენს ვალდებულებით-სამართლებრივი შეფასების საგანს, თავისი შინაარსით ასევე უნდა წარმოშობდეს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული აკრძალული ქმედების არსებობის გონივრულ ეჭვს, რათა სააგენტოს მხრიდან შეფასებას დაექვემდებაროს.

შესაბამისად, სააგენტო სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე საკითხებს დასაშვებობის ეტაპისათვის შეაფასებს მხოლოდ კონკურენციის სამართლებრივი თვალსაზრისით, თუ რამდენად არსებობს გონივრული ეჭვი ამ ქმედებების მიმართ კონკურენციის საწინააღმდეგო ხასიათის გათვალისწინებით.

განსახილველი საჩივრის ფარგლებში, მომჩივნის პრეტენზია ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულების განახლებული პირობებით შემოღებული „პროვაიდერული მომსახურების“ საფასური არც საგნობრივად და არც კომერციულად იყო დაკავშირებული ხელშეკრულების საგანთან. ამასთან, მომჩივანი ასევე სადავოდ ხდის მოპასუხის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტას ამ პირობაზე უარის თქმის გამო.

სააგენტო ხაზს უსვამს, რომ საქმის მასალების თანახმად, მხარეთა შორის მოქმედი ხელშეკრულების 5.5. მუხლით გათვალისწინებული იყო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თანაბარი პირობა ორივე მხარისათვის, რაც უნდა განხორციელებულიყო ერთი თვით ადრე წინასწარი წერილობითი გაფრთხილების საფუძველზე. შესაბამისად, ხელშეკრულების შეწყვეტა განხორციელდა წინასწარ შეთანხმებული სახელშეკრულებო პირობის საფუძველზე. თავისთავად, ამგვარი უფლების რეალიზება, დამატებითი ფაქტობრივი გარემოებების არსებობის გარეშე, არ წარმოადგენს კონკურენციის სამართლის შეფასების საგანს და არ წარმოშობს კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებული დარღვევის გონივრულ ეჭვს.

რაც შეეხება „პროვაიდერული მომსახურების“ საფასურის დაწესებას, მოპასუხის განმარტებით, განახლებული ხელშეკრულების პირობებთან დაკავშირებით მხარეებს შორის გაიმართა მოლაპარაკებები, რომლის ფარგლებშიც მომჩივანს მიეწოდა სრული

ინფორმაცია აღნიშნული მომსახურების შინაარსის, მიზნობრიობისა და პირობების შესახებ. ამასთან, მომჩივანს ჰქონდა შესაძლებლობა, წარედგინა საკუთარი შენიშვნები და აქტიური მონაწილეობა მიეღო სახელშეკრულებო პირობების შეთანხმების პროცესში.[9]

ამასთანავე, მოპასუხე „პროვაიდერული მომსახურების“ საფასურის შემოღების აუცილებლობას ასაბუთებს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციებით, რომელთა მიხედვითაც, პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება აწარმოოს შესაბამისი გუნდის (ოჯახის/უბნის ექიმი და ექთანი) მეშვეობით, სადაც მკაცრად არის განსაზღვრული ბენეფიციართა დასაშვები ზღვრული რაოდენობა. მოპასუხის განმარტებით, ვინაიდან სახელმწიფო პროგრამით დაზღვეულთა რაოდენობა რეგიონებში აჭარბებდა არსებულ რესურსს, კერძო დაზღვევით მოსარგებლე პირთა შეუფერხებელი მომსახურებისთვის საჭირო გახდა ცალკე საექიმო და ადმინისტრაციული ჯგუფების მობილიზება, აგრეთვე კლინიკის ცენტრალურ ოფისში სპეციალური სერვის-მიმართულების შექმნა[10].

მოპასუხის განმარტებით, აღნიშნული ორგანიზაციული ცვლილებები დაკავშირებული იყო გაზრდილ ფინანსურ ხარჯებთან, რის გამოც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისადაც სადაზღვევო კომპანიებს ეცნობათ, რომ კლინიკა კვლავ შეუფერხებლად მოემსახურებოდა კერძო სადაზღვევო კომპანიების ბენეფიციარებს. ამასთან, შეიცვალა ანგარიშსწორების წესი, რომლის მიხედვითაც, მომსახურების საფასური, უშუალოდ სამედიცინო პერსონალის (ექიმების) ნაცვლად, უნდა ჩარიცხულიყო შპს „არქიმედეს კლინიკის“ ანგარიშზე, ვინაიდან კლინიკა, როგორც პროვაიდერი ორგანიზაცია, თავად იღებდა ვალდებულებას, უზრუნველეყო სრული სამედიცინო და ადმინისტრაციული სერვისი სამ მუნიციპალიტეტში, შვიდ სხვადასხვა მისამართზე, წინასწარ, ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის ფარგლებში.

აღნიშნულ კონტექსტში, სააგენტო აღნიშნავს, რომ ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია, საკუთარი საქმიანობის ორგანიზება, მომსახურების მოდელი, საფასო პოლიტიკა და რესურსების განაწილების საკითხები განსაზღვროს საკუთარი კომერციული ინტერესებისა და ბიზნესმოდელის შესაბამისად, თუ ასეთი ქმედება კონკურენციის კანონმდებლობით აკრძალულ ქმედებას/შედეგს არ იწვევს. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის მითითებით, „პროვაიდერული მომსახურების“ კომპონენტის შემოღება უკავშირდებოდა მომსახურების ორგანიზების განსხვავებული სისტემის დანერგვას, რაც, მისი განმარტებით, განპირობებული იყო როგორც საკანონმდებლო რეგულაციების ცვლილებით, ისე საოპერაციო და ფინანსური რესურსების ოპტიმიზაციის საჭიროებით.

ამასთან, საქმეში არ არის წარმოდგენილი ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც დასაშვებობის ეტაპზე შექმნიდა გონივრულ ეჭვს, რომ აღნიშნული პირობა ემსახურებოდა

[9] „არქიმედეს კლინიკასთან“ გამართული საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი (თარიღი 26.06.2026) 05:10-8:10 წთ.
[10] იქვე 18:30-21:25 წთ.

გარიგების საგანთან სრულიად დაუკავშირებელი ვალდებულების დაკისრებას ან მოკლებული იყო რაიმე ეკონომიკურ თუ კომერციულ დასაბუთებას.

ხსენებული არგუმენტაციის პარალელურად, იმას, თუ რა გავლენა იქონია „არქიმედეს კლინიკის“ მიერ სახელშეკრულებო უფლების გამოყენებამ (ხელშეკრულების პირობების განახლება; ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა) შესაბამის ბაზარზე კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვის ან აღკვეთის კუთხით, მომჩივანი მხარე ვერ ასაბუთებს.

სააგენტო ასევე ითვალისწინებს, რომ ეკონომიკური აგენტის მიერ ბიზნესმოდელის, საფასო პოლიტიკის ან მომსახურების სტრუქტურის შეცვლა, მათ შორის, ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის, ხარჯების ოპტიმიზაციის ან სხვა კომერციული მიზნების ფარგლებში, თავისთავად არ წარმოადგენს კონკურენციის დარღვევას. კონკურენციის სამართალი არ ზღუდავს ეკონომიკური აგენტის უფლებას, დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი კომერციული პოლიტიკა, თუ აღნიშნული ქმედება არ წარმოადგენს ბაზარზე არსებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. მოცემულ შემთხვევაში კი წარმოდგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ ეტაპზე დომინანტური მდგომარეობის არსებობა/არარსებობის საკითხის შეფასება არარელევანტურია, ვინაიდან არ იკვეთება იმგვარი ქმედება, რომელიც prima facie შეიძლება შეფასდეს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით საჩივარი ვერ აკმაყოფილებს მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს, ვინაიდან ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მომჩივანმა ვერ შეძლო სათანადო მტკიცებულებები წარმოედგინა გონივრული ეჭვის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, რაც საკმარისი იქნებოდა სააგენტოსთვის „არქიმედეს კლინიკის“ მხრიდან კანონის მე-6 მუხლის დარღვევის სადემონსტრაციოდ.

დასკვნა

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოს უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. სააგენტო აღნიშნული მიზნით აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვისას სააგენტო შებოჭილია ამ საჩივრის შინაარსით, ხოლო მომჩივანს ეკისრება ფაქტის მტკიცების ტვირთი. ამდენად, მომჩივანს აქვს

შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებაც და მასვე ეკისრება საჩივრის დასაბუთების ვალდებულება. დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო მხედველობაში იღებს მომჩივნის და მოპასუხის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებსა და მტკიცებულებებს და მათი ყოველმხრივი ანალიზით ადგენს აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით მომჩივანმა ვერ შეძლო დაეკმაყოფილებინა მტკიცების ტვირთი, რის გამოც საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს. კერძოდ, არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი და სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი, რის გამოც სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის „ბ“ პუნქტის, „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა

1. დაუშვებლად იქნეს ცნობილი სს „საქართველოს სადაზღვევო ჯგუფის“ (ს/ნ 405206566) 2026 წლის 13 მაისის N01/4212 საჩივარი.

2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება ეცნობოს მომჩივან და მოპასუხე მხარეებს კონფიდენციალურობის დაცვით.

4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით.

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე 